საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი
ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.07.21

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 051/21

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: ზ. გ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 21 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. გ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ზ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატს მიმართა იურიდიული დახმარებისთვის სამემკვიდრეო საკითხზე დოკუმენტების მოგროვებისთვის.

1.2 მომჩივანმა ადვოკატს მისი მოთხოვნის შესაბამისად გადაუხადა სრულად - 320 ლარი მისი დის ლ. გ.-ის საბანკო ანგარიშზე თანხების გადარიცხვის გზით. მომჩივანის განმარტებით, თანხების ჩარიცხვის მიუხედავად, მან ვერ მიიღო ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით რა მოქმედებებს ახორციელებდა ადვოკატი და მოითხოვა საქმის მასალების და თანხის დაბრუნება. ადვოკატმა მომჩივანს დოკუმენტები დაუბრუნა.

1.3 2021 წლის 15 სექტემბერს საჩივრის ავტორმა მომართა ეთიკის კომისიას და განმარტა, რომ ის და ადვოკატი ზ. გ. მორიგდნენ და უარს ამბობს მის მიმართ წარდგენილ საჩივარზე.

II სამოტივაციო ნაწილიმო

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ზ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 დ. გ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 21 ივლისს. „შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ზ. გ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 2021 წლის 15 სექტემბერს საჩივრის ავტორმა დ. გ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მას აღარ აქვს პრეტენზია ადვოკატ ზ. გ.-ის მიმართ, რადგან ისინი მორიგდნენ და უკან იხმობს წარდგენილ საჩივარს.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით: „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“.

5.3 ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისგებლობის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით და მიიჩნია, რომ დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან, საჩივრის ავტორმა მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა და უარი თქვეს თავიანთ პრეტენზიაზე ადვოკატ ზ. გ.-ის მიმართ.

5.4 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დაადგინა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №051/21 ადვოკატ ზ. გ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/